

მატყლი და სელი როგორც
კულტურის სიმბოლოები

I. კაენი და აბელი

აბელ-კაენის ბიბლიური მოთხრობა, გარდა თეოლოგიური, რიტუალური, ზნეობრივი, იურიდიული, ეგზისტენციალური და სხვა ასპექტებისა, შეიცავს კულტურის მითოსს, რომლის ინტერპრეტაცია შესაძლებელია როგორც თავად ძველი აღთქმის ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, სხვა ცივილიზაციის მონაცემთა საფუძველზე. „აბელი მეცხვარე იყო, კაენი მიწისმუშაკი“, გვამცნობს ბიბლია. აბელმა შესწირა ღმერთს სისხლიანი მსხვერპლი, კაენმა - მცენარეული, მიწის ნაყოფი, თითოეულმა თავ-თავისი ნამუშაკევი. ბიბლია არ გვეუბნება, თუ როგორ აირჩია თითოეულმა მათგანმა ის დარგი მეურნეობისა, რომლითაც თითოეული წარდგა ღვთის წინაშე. იყო ეს თავისუფალი არჩევანი? თუ ღმერთმა თავად განუწესა მათ მოღვაწეობის სფერო? ამაზე თითქოს პასუხი არ არის. მაგრამ, რაკი ღმერთმა ადამიანი თავისუფალ არსებად შექმნა, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, არჩევანის თავისუფლებას ნიშნავს (თავად ადამმა აკრძალული ხის ნაყოფის ჭამით დაადასტურა, რომ ის არჩევანის პატრონი იყო), უნდა ვიფიქროთ, რომ მათ თავად აირჩიეს მუშაკობისა და ზრუნვის სფერო: ერთმა - ცხოველთა სამყარო, მეორემ - მიწა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამის ორ შვილს შორის განაწილდა მუშაკობის სფეროები, რომლებიც თავდაპირველად, ღვთის განგებით, ადამის ხელში იყო მოქცეული. გავიხსენოთ, რომ ღმერთმა ადამი დაასახლა ედემის ბაღში მის „დასამუშავებლად და დასაცავად“ (2:15); ხოლო სხვა ადგილას განსაზღვრულია მისი როლი ცხოველების მიმართ, რომელთაც მან სახელები უწოდა, განსაზღვრა რა მათი ბუნება და ფუნქციები, რაც სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა მათ მწყემსობას. ამრიგად, სამოთხეში მყოფი ადამი იყო მწყემსიც და მიწათმოქმედიც. ამიერიდან, სამოთხის გარეთ კი, მწყემსობა და მიწათმოქმედება მის ორ ნაშიერს შორის განაწილდა და ამით დაირღვა ის ჰარმონია და წონასწორობა, რომელიც ამ ორ სფეროს შორის უნდა ყოფილიყო.

ადამიანი ირჩევს, მაგრამ ღმერთიც ირჩევს. ღმერთმა არ მოხედა კაენის მსხვერპლს და მიიღო აბელის მსხვერპლი. თუ რატომ მოხდა ასე, ამის მიზეზი არ არის ერთსახოვანი. მიზეზი არის შემწირველშიც და თავად შეწირულის ხარისხშიც. კაენმა არ შესწირა წრფელი გულით მსხვერპლი. ეს ერთი. ამავე დროს ის ნაყოფები მიწისა, რაც მან საკურთხეველზე მიიტანა, არ იყო საუკეთესო. აბელის მსხვერპლზე ნათქვამია, რომ ის იყო „ნათავარი“, „რჩეული“, მაგრამ კაენის მსხვერპლზე არაფერია ნათქვამი - მხოლოდ „მიწის ნაყოფი“. ეს მეორე. ღმერთმა მიიღო აბელის მსხვერპლი, რადგან ის იყო (და ასე დარჩა მთელი ძველი აღთქმის მანძილზე) მსხვერპლის საუკეთესო სახე. მხოლოდ სისხლიანი მსხვერპლია ჭეშმარიტი მსხვერპლი, რომელსაც აქვს გამოსყიდვის ძალა. მცენარეული მსხვერპლი არ არის დამოუკიდებელი მსხვერპლი, ის მხოლოდ დამატებითია, მას გამომსყიდველი ძალა არ გააჩნია. პავლე მოციქული ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას, როცა ამბობს, რომ „რწმენით შესწირა აბელმა ღმერთს კაენისაზე უკეთესი მსხვერპლი...“

(ებრ. 11:4). აბელი, როგორც სისხლიანი მსხვერპლის შემწირველი, ამიტომ წარმოადგენს ქრისტეს წინასახეს: ის შემწირველიც არის და მსხვერპლიც ერთდროულად.

პარადოქსული ვითარება: კაენმა, მცენარეულმა, ვეგეტარიანმა, კაცის სისხლი დაღვარა და შეიქნა ქრისტეს ჯვარმცემელთა წინასახე. ღმერთმა დასტური დასცა აბელის მსხვერპლს, მაგრამ შემწირველი დაიკლა უსისხლო მსხვერპლის შემწირველის ხელით. ღმერთმა უარყო კაენი მის მსხვერპლთან ერთად, მაგრამ კაენი ცოცხალია და აშენებს უღვთო ცივილიზაციას, რაც დღემდე გრძელდება. რჩეული მკვდარია, წყეული ცოცხალია.

მთლიანად, უნაშთოდ გადაშენდა აბელი? პირწმინდად წარისოცა აბელური ყოფა? აბელის სიკვდილი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ის, მისი ყოფიერება ვერ აშენებს ცივილიზაციას. მწემსური ყოფა არსებობს, მაგრამ ის ცივილიზაციის საფუძველი არ გამხდარა. მას არა აქვს სიმყარე მიწაზე, ამ სოფელში, ამ წუთისოფელში. აბელი - ის ცოცხლია მწემსური კულტურის სახით - არ აშენებს სახლს, არ დებს საფუძველს, არ აშენებს ქალაქებს. კაენი, მისი შთამომავლობა კი, უპირველეს ყოვლისა, ქალაქების მაშენებელია. კაენი პირველი ურბანისტია კაცობრიობის ისტორიაში. მართალია, ურბანიზმი მიწისგან მოწყვეტაა, მაგრამ ის მიწიდან ამოიზარდა. საიდანაც ამოიზარდა, იმას მოწყდა. ურბანისტული ცივილიზაცია სამიწათმოქმედო კულტურის უშუალო შედეგია.

ნეგარი ავგუსტინე „ღვთის ქალაქში“ წერს: „კაცთა მოდგმის ორი წინაპრისაგან პირველად დაიბადა კაენი, რომელიც ეკუთვნის ადამიანურ ქალაქს. შემდეგ კი აბელი, რომელიც ეკუთვნის ღვთის ქალაქს“, და დასძენს: „კაენზე ნათქვამია, რომ მან ააშენა ქალაქი, აბელს კი, როგორც მწირს, ქალაქი არ აუშენებია, რადგან წმიდათა ქალაქი უზენაესი ქალაქია. თუმცა იგი აქაც ბადებს თავის მოქალაქეთ, რომელთა სახითაც ის მწირობს, ვიდრე არ დადგება ჟამი მისი სუფევისა...“ (De civitate Dei 1, XV, 1).

ღვთის ქალაქი „აქაც ბადებს თავის მოქალაქეთ“ და ეს მოქალაქენი ძველ აღთქმაში პატრიარქები არიან, რომლებიც ჭეშმარიტად აბელურ ცხოვრებას ეწევიან ქანაანში, თავიანთი მდგმურობის (მწირობის) ქვეყანაში, სადაც ღმერთმა მათ განუწესა ცხოვრება. ამ მიწაზე ცხოვრობენ, სახლობენ ისინი, მაგრამ არ მკვიდრობენ მასზე, არ იმკვიდრებენ მას. ეს უმკვიდრობა და მდგმურობა არის მათი თავისუფლების, აბელური ყოფის, ნიშანი.

ქანაანის რომელ ადგილას არის აბრაამი მყარად დამკვიდრებული? ყველგან და არსად. იგი მოძრაობს სიქემსა და ბეერშებას შორის, ჩრდილოეთიდან ნეგებამდე (ნეგებ - სამხრეთი), მას ვხედავთ ხებრონში, გერარში, ეგვიპტეში - მაგრამ მას ფეხი არსად არა აქვს მოკიდებული. ის ნამდვილი მწირია ამ ქვეყანაში, მდგმური (ებრ. გერ) და მოხეტიალე. აბრაამი მწყემსია, ის არ გაჰკარებია მიწას დასამუშავებლად. მიწასთან მას აკავშირებს ორი რამ: ერთი, სასიცოცხლო - ჭის ამოთხრა, მეორე, სამკვდრო - საფლავის გათხრა სარასათვის (ისიც კლდეში). ასევე იაკობიც და მისი ძე ისაკიც სულ მუდამ მოძრაობაში იყვნენ. ღმერთს ნათქვამი ჰქონდა მათთვის: „აჰა, თქვენს წინაშეა ეს ქვეყანა“, და ისინიც მიმოდრიოდნენ ქვეყანაში. „მოხეტიალე არამელი იყო ჩემი მამა“ (2რჯლ. 26:5), - ასე იტყვის იაკობის შთამომავალი, როცა ქანაანის ქვეყანაში

დააპირებს დამკვიდრებას. ეგვიპტეში ჩასულმა იაკობმა ფარაონთან წარდგომისას, იოსების რჩევით, საგანგებოდ უნდა გახაზოს თავისი კუთვნილება მწვემსური კულტურისადმი. „უთხარი: მეჯოგე ხალხი ვართ შენი მსახურნი სიერმიდან დღემდე, ჩვენცა და ჩვენი მამა-პაპაც-თქო, რომ დასახლდეთ გოშენის მიწაზე, რადგან სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის ყველა ცხერის მწვემსი“ (დაბ. 46:34). კიდევ უფრო საგულისხმოა, თუ როგორ განსაზღვრავს თავის წლოვანებას იაკობი, „კარვებში მცხოვრები“ (დაბ. 25:27) პატრიარქი, ფარაონის კითხვაზე: „ას ოცდაათ წელს ითვლის ჩემი მდგმურობის ხანი“ (დაბ. 47:9). ამით იაკობი ამბობს, რომ ის მწირი და უცხო იყო იმ ქვეყანაშიც, საიდანაც მოვიდა, და ეგვიპტეშიც მწირად და უცხოდ დარჩება. ეს არის მისი დამოკიდებულება ამ წუთისოფლისადმი, არა მხოლოდ ქანაანის მიწისადმი, რასაც ნეტარი ავგუსტინე ღვთის ქალაქის მოქალაქეთა წესად თვლის.

რამდენიმე თაობის შემდეგ ისრაელიანებს ეგვიპტეში აგურების კეთება დაეკისრათ. ეგვიპტის მონობა, ცხადია, მხოლოდ იძულებით შრომაში არ მდგომარეობდა. მწვემსებს აცვლევინებენ ცხოვრების წესს - მათ ეგვიპტის ურბანისტული ცივილიზაციისთვის აშრომებენ. ეგვიპტიდან გამოსვლა ხსნაა მწვემსური კულტურისა - მოსეც, მათი გამომყვანი, ორმოცი წელი მწვემსობდა სინის უდაბნოში, თუმცა ფარაონის კარზე გაზრდილს სხვა ხვედრი ელოდა. მეორე ორმოცი წელიწადი ისრაელიანები - მთელი ერი ერთიანად მწვემსობდა უდაბნოში და ციური მანანით იკვებებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხვარს და საქონელს ყოველდღიურ საზრდოდ არ იყენებდნენ. აქ მივადექით მწვემსური კულტურის საიდუმლოს, რომელიც თან წაიღო მოკლულმა და უმემკვიდრედ გადაგებულმა აბელმა. ეს საიდუმლო, რომელსაც ატარებდნენ პირველი პატრიარქები და რითაც გამსჭვალულია მოსეს „ხუთწიგნეული“, მარხია იმ აქტში, რომლითაც ადამმა ადამიანურ სფეროში შემოიყვანა ცხოველები. ამ ქმნილებათა შორის, რომლებიც იმავე მეექვსე დღეს შექმნა ღმერთმა, ადამმა ვერ ჰპოვა თავისი მსგავსი, მაგრამ მათთვის სახელთა დარქმევით დაიახლოვა ისინი. არსებობს ნაკლებად ცნობილი და ალბათ კიდევ უფრო ნაკლებგაზიარებული ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ადამიანმა ცხოველები არა უტილიტარული, არამედ მათთან კონტაქტისა და ურთიერთობის ფსიქოლოგიური მოთხოვნილებით მოიშინაურა [იხ. უურნ. «Знание - сила», 1988, გვ. 39]. ცნობილია, რომ ტრადიციული მწვემსური კულტურის ხალხები, ნომადები, რომელთა ერთადერთი საქმიანობა მესაქონლეობაა (განსაკუთრებით ეს უდაბნოს სემიტებს შორის არის დადასტურებული), ყოველდღიურ საკვებად, ჩვეულებრივ, ცხოველის რძეს იყენებენ, ხორცს კი მხოლოდ სასტიკი შიმშილობის დროს და დღესასწაულებზე ჭამენ, ძირითადად კი რძის ნაწარმით და ნანადირევით იკვებებოდნენ [იხ. *W. Robertson Smith, Lectures on the Religion of the Semites, Edinburgh, 1889, pp. 205-6*]. საჭმელი ხორცი, როგორც წესი, მსხვერპლად შეწირულის ხორცია. ამ ფსიქოლოგიით ადვილად გასაგებია იგავი მწვემსზე, რომელმაც ერთი დაკარგული ბატკნის გულისათვის მთელი ფარა მიატოვა.

ქანაანში შესვლისას მწვემსების წინაშე მძაფრად გამოიკვეთა სამიწათმოქმედო კულტურის, როგორც უცხო კულტურის სახე. იორდანის გაღმა ყველაფერი შეიცვლება. ჯერ კიდევ ქანაანის მისადგომებიდან გაგზავნილმა მსტოვრებმა მოიტანეს ამბავი იქ არსებულ გამაგრებულ (გალავნიან) ქალაქებზე. ამ ცნობამ ზარი დასცა ისრაელიანებს.

ზარდამცემი იყო არა ამ ქალაქთა გოლიათური სახე, არამედ უცხო ურბანისტული კულტურა. აქ მათ დახვდათ ქალაქი. აბელს ქანაანში ისევ და ისევ კაენი დახვდა. აბრაამმა, რჩეული ერის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე, თავი დააღწია ურის ურბანისტულ ცივილიზაციას; ისრაელმა (იაკობმა) ეგვიპტის ურბანიზმს გოშენის მხარეში გაარიდა თავი; ახლა კი, როცა თორმეტი ტომი ერთად შეიქმნა, კვლავ ურბანიზმში ჩაძირვის საფრთხემ იჩინა თავი.

ქანაანელებთან ურთიერთობის აკრძალვა, ქვეყნიდან მათი აყრის და განდევნის კატეგორიული მოთხოვნა - ეს ჩაიწერა იმ რჯულში, რომელიც უფალმა გამოუცხადა ხალხს მოსეს ხელით. როგორც ეგვიპტელთათვის იყო საძაგელი „ყოველი მწყემსი ცხვრისა“, ასევე საძაგელი უნდა ყოფილიყო ისრაელიანთათვის ქანაანური სამიწათმოქმედო ორგანისტული კულტი და კულტურა, რომელიც ბაალიზმის სახელით არის ცნობილი. ბაალიზმი ნიშანია ქანაანური კულტურისა, რასაც უნდა განერიდოს ისრაელი, თუ სურს, რომ რჩეულ ერთად დარჩეს, რათა იტვირთოს ღვთის გამოცხადების საიდუმლო. „ნუ მოიქცევით ისე, როგორც იქცევიან ეგვიპტის ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდით. ნუ მოიქცევით, როგორც იქცევიან ქანაანის ქვეყანაში, სადაც მიმყავხართ. ნუ მიჰყვებით მათ წესებს“ (ლევ. 18:2), ასეთია კატეგორიული გაფრთხილება. ეგვიპტეს თავი დააღწია ისრაელმა, თუმცა მან სწორედ ამ ქვეყანაში გადაიჩინა თავი ფიზიკური განადგურებისაგან და სწორედ აქ ახლა აბრაამის მიმართ მიცემული აღთქმა მრავალრიცხოვანი ხალხის წარმოშობაზე მისი წიაღიდან. მაგრამ ეგვიპტე, როგორც გააზრებულია ეს ქვეყანა ქრისტიანულ სიმბოლიკაში, არის „ცხორება ესე ნიუთიერი“ და ის კაენის ნიშანს ატარებს. ასევე ქანაანიც. აქ მოიყვანა ღმერთმა აბრაამი, მაგრამ არ დაამკვიდრა იგი ამ ქვეყანაში მის მკვიდრებთან ერთად. ქანაანი მიეცა მის შთამომავლობას იმ პირობით, თუ ეს მიწა-წყალი მათი განუსაზღვრელი საკუთრება იქნებოდა, რომ ეცხოვრათ იქ ღვთიური წესისამებრ. ღვთიური წესის უკუფენა კი მიწაზე აბელის წესი იყო. კაენი უნდა აყრილიყო ქანაანიდან, რათა აბელის წესი დამყარებულიყო. ქანაანელთა აყრა ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო ისრაელიანთა დასახლებისა აღთქმულ მიწაზე. „აჰყარეთ თქვენს წინაშე ქვეყნის მკვიდრნი“ (რიცხ. 33:52) - ასეთი იყო მრავალგზის განმეორებადი ბრძანება. უნდა ამოძირკულიყო ბაალიზმი, რომელიც მიწის ნაყოფიერების გარანტიას ხორციელ კავშირში ხედავდა. ისრაელისათვის კი ქანაანი "რძითა და თაფლით მდინარე" ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ასეთად ჭკერეტდა აბელის თვალი აღთქმულ მხარეს.

ქანაანში დამკვიდრებული ისრაელი მაინც ვერ ასცდა მიწის-მუშაკობას, მეურნეობის ამ დარგის გაძღოლას მოითხოვდა თავად ქანაანის ქვეყანა. „დამკვიდრება“, რომელიც იყო მიზანი რჩეული ერისა ქანაანში გულისხმობდა სწორედ მიწათმოქმედებას. ოღონდ ბაალიზმი, მიწათმოქმედების „იდეოლოგიური“ საფუძველი, იქნა უარყოფილი, თუმცა იგი საბოლოოდ მაინც ვერ აღმოიფხვრა პრაქტიკაში. მიწა მოითხოვდა მუშაკობას, მუშაკობა კი სპონტანურად ბადებდა ბაალიზმს. ისრაელი ისტორიის ყოველ ეპოქაში ის ამოიზრდებოდა „მიწიდან“, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებოდა ძალა მსაჯულის, წინასწარმეტყველისა თუ მეფის სახით, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა მის მოძალეობას (იხ. მსაჯ. 3:7; 6:25; 8:33; 1მეფ. 7:4; 4მეფ. 10:18-28 და სხვ.).

უარყოფითი დამოკიდებულება სამიწათმოქმედო კულტისა და კულტურისადმი ღიად ჩანს მოწმიდარობის (ნაზარევლობის) აკრძალვებში. უფლის მოწმიდარს ეკრძალება არა მხოლოდ თაფლუჭისა და ღვინის სმა (ანუ თრობა), არამედ თავად ყურძნის ჭამა, ახლადმოკრეფილი იქნება თუ ჩამიჩი (რიცხ. 6:3-4). ეს მთავარი აკრძალვაა. ყურძენი ქანაანის მიწის სიმბოლოა (გავიხსენოთ ქანაანის მიწის მსტოვართა მიერ მოტანილი ვაზი მტევნებითურთ, რიცხ. 13:23). ძველი აღთქმის უკანასკნელ მოწმიდარს იოანე ნათლისმცემელს, როგორც სახარებიდან ვიცით, „ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური“ (მ. 3:4), ანუ მას ეკრძალებოდა სელის ქსოვილი შესამოსად და მიწის ნაყოფი საკვებად.

ქანაანში მკვიდრობის საპირისპიროდ ისრაელი იხსენებს არქეტიპულ დროს, როცა ის კარვებში ცხოვრობდა. კარვობა (*სუქქოთ*) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც უკვე მკვიდრი ისრაელი მწყემსობის ნომადურ ხანაში გადაჰყავს. ამ დროს რიტუალურად ცოცხლდება პატრიარქთა - „კარვებში მცხოვრებთა“ ცხოვრების წესი. ამ წესის განუხრელი დამცველნი იყო ისრაელში ე.წ. რეჰაბიანთა თემი, რომლის შესახებ ცნობა შემონახულია იერემიას წიგნში (35:10). ქანაანის მკვიდრთა და თვით დანარჩენ ისრაელიანთა საპირისპიროდ ისინი თესლს არ თესავდნენ, ვაზს არ რგავდნენ, სახლებს არ იშენებდნენ, კარვებში ცხოვრობდნენ, რაც იყო ნიშანი მათი მდგმურობისა ამ ქვეყანაზე და, ამავე დროს, გარანტია დღევრძელობისა. ასეთი იყო მათი წინაპრის იონადაბ რეჰაბის ძის ანდერძი და ისინი ემორჩილებოდნენ მას. ამრიგად, მთელი ეს თემი მოწმიდარობის აბელურ წესზე ცხოვრობდა.

რწული აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მიწათმოქმედებას, როგორც მკვიდრი მოსახლეობის საქმიანობას, საბოლოო შედეგად აუცილებლობით მოსდევს ქალაქების შენება. როგორც მშენებლობის კატეგორიული აკრძალვის, თუმცა განუხორციელებულის, ნაშთია აკრძალვა რკინის იარაღის აღმართვისა ქვაზე მის გასათლელად. ეს გულისხმობს ქვის დამუშავების აკრძალვას - საკურთხეველიც გაუთლელი ქვებისაგან უნდა იქნას აგებული. იერუსალიმის ტაძარი სიდონელებმა ააშენეს - სიდონი სამიწათმოქმედო კულტურისა და ურბანული ცივილიზაციის კერა იყო. ტაძრის მშენებლობის ქრონიკაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ მისი მშენებლობის პროცესში არ გაისმოდა რკინის ხმა: იერუსალიმში, ტაძრის შენების ადგილზე, სიდონიდან უკვე ზოდებად დამუშავებული ქვები მოჰქონდათ (2მეფ. 6:7).

და ბოლოს, შაატნეზი - ცნება, რომელიც ფორმულასავით გამოხატავს ებრაული ცივილიზაციის სახეს. რა არის შაატნეზი? ეს არის შეუთავსებლობა ორი სხვადასხვა, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული, განსხვავებული წარმოშობის ელემენტისა. კერძოდ, ლევიანთა წიგნში ისრაელს უფალი უწესებს კანონს: „ჩემი კანონები დაიცავი: სხვადასხვა პირუტყვს ნუ შეაუღლებ, ნუ დათესავ ყანას სხვადასხვა თესლით; სხვადასხვა სახის ძაფით - მატყლითა და სელით მოქსოვილ სამოსელს ნუ ჩაიცვამ“ (ლეგ. 19:19). ან, როგორც ეს გამოიხატა მეორე რწულის წიგნში: „ნუ მოხნავ ხარით და ვირით ერთად, ნუ ჩაიცვამ შაატნეზს - მატყლსა და სელს ერთად“ (რწლ. 22:10-11).

აკრძალვათა ერთი ნაწილი - შაატნეზის ერთი გამოვლენა სამიწათმოქმედო სფეროდან არის. თუმცა ხვნა და თესვა უკვე ქვეყანაში დამკვიდრებულ ისრაელიანთა საქმიანობა გახდა და არ იკრძალებოდა,

მას მაინც გარკვეული შეზღუდვა ახლდა. ბაალიზმის ორგიასტული კულტი - მისტერიულად გათამაშებული სქესობრივი აქტი ბაალსა და მიწას შორის, ე.წ. „საკრალური ქორწინება“ (*ჰიეროს გამოს*), როგორც მიწის ნაყოფიერების გარანტია, დაგმობილია. ამგვარი დაგმობილი, საძაგელი ქორწინების სახესხვაობად არის გააზრებული, როგორც ჩანს, სხვადასხვა გვარის ცხოველთა შეჯვარება და ერთ ყანაში ორი სხვადასხვა გვარის თესლის ჩაგდება. ჩვენს ინტერესს ამჟამად იწვევს შაატნეზის ის სახე, რომელიც ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ძაფების ურთიერშერთვაში მდგომარეობს. რა არის ამ აკრძალვის საფუძველი? ამის საიდუმლო, შესაძლოა, ებრაული კულტურის გენეზისში მარხია, ან კაენ-აბელის ისტორიაში, სადაც პირველად შეიქმნა შაატნეზის საფუძველი. ადამში, პირველკაცში, მატყლი და სელი შეთავსებულია ერთმანეთთან: ადამი იყო მწყემსიც და მიწათმოქმედიც, ის ითავსებდა (მას შეეძლო ეს) ურთიერთდაპირისპირებულს, ურთიერთგამომრიცხველს. მაგრამ თუ ადამში ეს ორი რამ შეთავსებულია, რატომ იკრძალება ისტორიული ადამიანისთვის მათი შეთავსება? სამოთხეში მყოფი ადამი ხომ მაგალითია ისტორიული ადამიანისთვის?

საქმე ის არის, რომ სელისა და მატყლის შეუთავსებლობა რაღაცნაირად ადამის – მწყემსისა და მიწათმოქმედის – ინტეგრალური ბუნების რღვევასთან არის დაკავშირებული: მის ორ ნაშიერს შორის განაწილდა სამეურნეო საქმიანობის ეს ორი სფერო, რომელსაც თავად ითავსებდა. პირველჩადენილი ცოდვის პირველი რეციდივი აბელისა და კაენის შეურიგებელ წინააღმდეგობაში გამოჩნდა.

II. დუმუზი და ენქიმდუ

რ. გენონი სტატიაში „აბელი და კაენი“ მიწათმოქმედებასა და მწყემსობას შორის დარღვეულ წონასწორობაზე წერს: „როგორ უნდა აღდგეს ეს წონასწორობა მათ შორის, თუ არა იმგვარი გაცვლა-გამოცვლით, სადაც თითოეულს მეორის ქმნილში თავისი წილი ექნება“? [*რენე გენონი, კაენი და აბელი, „ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკა“*, თბ., „ლომისი“, 1998, გვ. 61] ძველი აღთქმის სამყაროში ეს წონასწორობა არ აღმდგარა. მაგრამ არსებობს ცივილიზაცია, სადაც ყოველდღიურ ყოფაში წონასწორობს მატყლი და სელი, დაძლეულია მათი დასაბამიერი ურთიერთ-შეუთავსებლობა. ეს არის ძველი შუმდინარული ცივილიზაცია, რომელიც ჰარმონიულად ითავსებს სამიწათმოქმედო და მწყემსურ კულტურებს თავის წიაღში. ამ შეუთავსებელთა შეთავსების ფაქტი სავსებით გაცნობიერებულია, რაზეც საგანგებო მითოსი სრულიად გარკვევით მეტყველებს [იხ. ძველი შუმდინარული პოეზია, თბ., „მერანი“, 1987, გვ. 7-11. შუმერული ტექსტი: J.J.A. Van Dijk, *La sagesse suméro-accadienne*, E.J.Brill, Leiden, 1953, pp. 65-69].

მიწათმოქმედი ენქიმდუ (არ უნდა აგვერიოს „გილგამეშიანის“ პერსონაჟში ენქიდუ) და მწყემსი დუმუზი ერთმანეთს ეცილებიან ინანასათვის, რომელიც საქორწილოდ არის გამზადებული. მისი ძმა უთუ - მზის ღვთაება ურჩევს მას გამოიყენოს სელი, რომელიც უხვად იზრდება ყანებში. უთუსა და ინანას დიალოგში გადმოცემულია სელის ქსოვილის დამზადების ტექნოლოგიის სრული ციკლი. სელის დამუშავების საბოლოო პროდუქტის - ქსოვილისგან ინანამ უნდა შეიკეროს

საქორწილო შესამოსელი. მაგრამ ვინ იქნება სიძე, მისი საქმრო? „ვინ მომიწევება, გვერდით ვინ მომიწევება?“ აღმოხდება ქალწულს. ძმა უთუხ მწვემსი დუმუზი აურჩევია სასიძოდ, ინანას კი მიწათმოქმედი ენქიმდუ ჰყავს არჩეული. ინანა თავისი მითოსური ცხოვრების ადრეული ხანიდანვე მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული. თავად მისი მუდმივი ეპითეტი *ქი-სიქილ* („ხელუხლებელი მიწა“ ანუ ქალწული) მიწასთან მის კავშირზე მიანიშნებს. მას ჰქონდა თავგადასავალი მებაღე შუქალეთუდასთან, ის ზრუნავდა ურუქის ბაღზე, სადაც სასოებით უვლიდა ევფრატის მიერ მოტანილ ხალუბის ხეს, მას უყვარდა თავისი მამის, ცის ღმერთის, მებაღე იშულანუ, მან შეიყვარა შარუქინი (სარგონი) მისი მებაღეობისას და მეფედ აღაზევა. ძმამ კი აურჩია მწვემსი, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც ინანას ეკუთვნის. თავდაპირველად ინანა ისეთსავე პასუხს გასცემს უთუხ წინადადებას, როგორც გასათხოვარი ქალი დედას ერთ ქართულ ხალხურ ლექსში:

ნუ მიმცემ მეცხვარე კაცსა, თორო მაიზრობს ფეხსაო...

თუ მიმცემ ისეთ კაცს მიმეც, რო იყოს გუთნისდელაო...

„მწვემსმა რა იცის თვინიერ ფარეხისა?...“ ამბობს ინანა.

საქორწილოდ გამზადებული ქალწული შესამოსელის ნიშნით აფასებს საქმროს: ქალი იმ კაცს აირჩევს, რომლის სამოსელიც მოსწონს. იგი მიწათმოქმედის მიერ შემოთავაზებულ სელის სამოსელს ამჯობინებს, რასაც მწვემსი ვერ მისცემს მას - „მე მწვემსი იგი ვერ წამიყვანს. ახალი სამოსელით ვერ შემმოსავს...“. თუმცა აქ პირად მოწონებაში არ არის საქმე: სელის სამოსელი საქორწილო შესამოსელია, რომლის მაგივრობას მატყლის სამოსელი ვერ გასწევს. რაყიფები ეპაექრებიან ერთმანეთს თავ-თავისი ჭირნახულით, შრომის ნაყოფებით: თუ მწვემსი ინანას „შავ ცხვარს“ მიუყვანს, მიწათმოქმედი „შავ ხორბალს“ მიუტანს, თუ მწვემსი „თეთრ ცხვარს“ მიუყვანს, მიწათმოქმედი "თეთრ ხორბალს" მიუტანს. თუ მიწათმოქმედი სხვადასხვაგვარ სასმელს (ლუდი, თაფლუჭი) სთავაზობს, მწვემსი ამ მცენარეული ძღვენის სანაცვლოდ ცხოველურს – რძის ნაწარმს (ნაღები, კარაქი, მაწონი), პურებს და ხილს ჰპირდება... მოულოდნელად (და საბოლოოდ) ინანა ირჩევს მწვემსს, მაგრამ ქალღმერთის არჩევანი არ იწვევს მიწათმოქმედის შურსა და გაბოროტებას. პირიქით, იგი ჰპირდება გამარჯვებულს, რომ მის ქორწილში თავის ჭირნახულს მიართმევს. უფრო მეტსაც: ნებას აძლევს მწვემსს თავის ყანებში აძოვებინოს მის ნახირს:

მე შენთან, მწვემსო, შენთან, მწვემსო,

მე შენთან რად უნდა ვდავობდე?

ძოვდეს შენი ცხვარი ჩემს მორწყულ მიწაზე,

ჩემს ყანებში შენი ცხვარი დაბალახობდეს,

ურუქის ბრწყინვალე ყანებში თავთავსა ჭამდეს,

შენი კრავი და თიკანი არხის წყალს სვამდეს!

თუმცა ინანა ირჩევს მწვემსს - მატყლს, მაგრამ როგორც სასძლო, იგი სელის სამოსელით იმოსება. ინანას მკვიდრი ცხოვრებისკენ მიუწევს გული, მაგრამ დუმუზის არჩევით მწვემსურ თავისუფალ ცხოვრებას სცემს დასტურს. ინანაში მორიგდება მატყლისა და სელის წინააღმდეგობა, თავსდება მოხეტიალე და მკვიდრი. ის მწვემსის ცოლი ხდება, მაგრამ მისგან გვეხმის ასეთი სიტყვები:

გუთნეულის ხარებს მე ვასვენებ,

დასვენებულ ხარებს გზად წავიყვან,

სახნისი ვარ, მხენელი მიწის მკერდისა,
გუთანი ვარ, ხარებში შებმული...

საბოლოოდ, მწყემსი დუმუზიც, ინანას ქმარი, როგორც მისი ტიტულატურიდან ჩანს, ითავსებს მიწათმოქმედის ფუნქციას - იგი არის *ენგარ* (მიწათმოქმედი), რომელიც გუთნეულს მიუძღვება. ასე, შუმერის მეფეთა ტიტულატურაში მყარად არის დამკვიდრებული მწყემსის (*სიპა*) გვერდით მიწათმოქმედი, უფრო მეტიც: მეფე ინანას პირველი შეყვარებულის - ენქიმდუს სახელსაც იკუთვნებს, როცა სურს გამოხატოს თავისი ხალხისადმი მზრუნველობა: „ხალხს საუკეთესო საკვებით ვკვებავ, მათი ენქიმდუ ვარ მე!“

დასასრულ, შაატნეზის დაძლევა შუამდინარულ ცივილიზაციაში ცხადად გამოაჩინა ორი ნიშნისგან შემდგარმა „დაბადების“ შუმერულმა პიკტოგრამამ, რომელთაგან ერთი გამოხატავს მცენარის აღმოცენებას მარცვლიდან, მეორე - შობას დედის საშოდან.

III. სამწყსო და სამკალი

ძველი აღთქმის *შაატნეზი* (შეუთავსებლობა) დაძლეულია ქრისტიანობაში და მის სიმბოლიკაში, რომელიც რეალური ნიადაგიდან არის ამოზრდილი. ბეთლემი - ქრისტეს შობის ქალაქი ბეთლემი „პურის სახლია“ (*ბეთ ლეხემ*), ხოლო შობის ადგილი - ბაგა (პირუტყვის სადგომი).

წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი (150-215) ერთ-ერთ ჰიმნში ქრისტეს ერთდროულად მწყემსად (*პოიმენ*) და მხენელად (*აროტერ*) იხსენიებს [იხ. А.С. Уваров, Христианская символика, часть 1, М., стр. 45], რომელთაგან თითოეულს საკმაოდ გამჭვირვალე სიმბოლიკა აქვს. ასევე გვიანდელი ბიზანტიელი თეოლოგი გრიგორი პალამა (1296-1359) ორმაგ სიმბოლიკას მიმართავს, როცა ქრისტიანულ მრევლს უხმობს: „ჩემო ქრისტესმიერო მეტყველო სამწყსოვ და ყანავ!“ სიმბოლიკის წყარო სახარების იგავებია, თავად მაცხოვრის მიერ წარმოთქმული: იგავი მთესველზე, იგავი ყანაზე და მის მიწათმოქმედზე, რომელიც თავად ღმერთია. წმ. გრ. პალამა ღმერთს „სულის მიწათმოქმედს“ უწოდებს [იხ. Беседы (Омилии) святителя Григория Паламы, часть 1, «Паломник», М., 1993, стр. 15].

„და მოჰვლიდა იესო ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა... და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცვივნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თვისთა: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ“ (მ. 9:35-37).

ამ მონაკვეთში ვხედავთ, თუ როგორ გადადის აზრი ერთი სიმბოლიკიდან (სამწყსო ცხვარი) მეორეზე (სამკალი ყანა).

როგორც იგავებიდან ჩანს, თავად ქრისტე სამიწათმოქმედო სიმბოლიკას ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა მის საყოველთაო ეპითეტად მწყემსი დამკვიდრდა.

IV. მატყლი და სელი – ხედვა და ქმნა

ანტონ I კათალიკოს-პატრიარქის „წყობილსიტყვაობაში“ წმიდა ნინოსადმი მიძღვნილ იამბიკოში ვკითხულობთ:

„მატყლი და სელი ჰქმნა სახმარად წარმართთა;
ესე არს ესე - ხედვის საქმეს ზაგება.“

აქ *მატყლი* და *სელი* თეოლოგიური სიმბოლოებია. რას გულისხმობს პირველი სტრიქონი „მატყლი და სელი ჰქმნა სახმარად წარმართთა“? ჯერ, ვინ იგულისხმება „წარმართებში“?

ამ სტრიქონის მიხედვით „წარმართნი“ ისინი არიან, ვისაც ეკრძალებოდათ მატყლისა და სელის ერთდროულად ხმარება ანუ შაატნეზის გამოყენება ყოველდღიურობაში. ჩვენ ვიცით, რომ ეს ის ხალხია, რომელიც მოსეს რჯულს არის დაქვემდებარებული. „წარმართნი“ აქ პირობითი ტერმინია ძველი აღთქმის ერისათვის, რომლისთვისაც არ იყო ნებადართული მატყლისა და სელის „ზაგება“, მაგრამ ნებადართული შეიქნა ნინოს ქადაგების ძალით, ანუ ქრისტეს რჯულმა გააუქმა, მოხსნა მისი აკრძალვა. ამრიგად, მატყლი და სელი ერთად - ქრისტიანობის, როგორც სრულყოფილი რჯულის, ნიშანია. ძველი აღთქმის რჯულის (ფართო აზრით, წარმართობის) ცალმხრივობა დაძლეულია, დაპირისპირებული რეალობანი შეთავსებულია, რისი საფუძველიც თავად ქრისტეს პიროვნებაშია, რომელმაც იტვირთა, როგორც ანტონი „წყობილსიტყვაობის“ სხვა ადგილას გამოთქვამს, „აუგებლის აგებულს შეზაგება“, ანუ კაცებრივისა და ღვთაებრივის შეერთება ერთ გვამში. ის, რაც წარმოდგენელი იყო ძველი აღთქმისთვის, ახალ აღთქმაში რეალობა შეიქნა.

რას გულისხმობს მეორე სტრიქონი: „ესე არს ესე - ხედვის საქმეს ზაგება“? იგი პირველი სტრიქონის განმარტებაა („ესე არს ესე“): აქ მატყლისა და სელის სიმბოლიზმი იხსნება - ნივთიერი (თუნდაც რიტუალური) პლანიდან სულიერ პლანში გადადვივართ: მატყლისა და სელის შეზაგება ახალ რჯულში "ხედვის" (მჭვრეტელობის) და „საქმის“ (მოქმედების) შეზაგების განმაცხადებელია. ამას ნიშნავს ლაკონიური „ხედვის საქმეს ზაგება“.

მართალია, მატყლითა და სელით გასიმბოლოურებული *ხედვა* და *საქმე* ანტონის იამბიკოში და, ამდენად, მის ღვთისმეტყველებაში თანაბარი ღირებულების პოზიციებად არის წარმოდგენილი, მაინც ქრისტიანული თვალსაზრისით, რომელიც სახარებაშია გამოვლენილი, უპირატესობა *ხედვას* ენიჭება. გავიხსენოთ ქრისტეს მეგობარი ქალები, მკვდრეთით აღდგინებული ლაზარეს დები - მარიამ და მართა, რომელთაგან პირველი მოძღვრის ფერხით იჯდა და გარინდებით უსმენდა მის სიტყვებს, მეორე კი საქმიანობდა. მოძღვარს მართას წილი არ დაუწუნებია, მაგრამ უპირატესობა მარიამისას მიანიჭა, როცა თქვა, რომ მისი არჩეული წილი საუკეთესოა და არასოდეს წაერთმევა მას (ლ. 10:42), რადგან ის მარადისობისკენ არის მიმართული. მჭვრეტელობითი ცხოვრება ძლევს აქტიურს, აბელი უპირატესობს მიწათმოქმედზე. მიწათმოქმედი მიწას დაჰყურებს, აბელის ფიქრები კი ზეცისკენ მიდის.

დაბეჭდილია ჟურნალში „სჯანი“ 6, 2005.